სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №[illegible]/13/04/12

ქ. თბილისი 24 აპრილი, 2012 წელი

შემსყიდველი: **შპს „საქაერონავიგაცია“,**

აღმასრულებელი დირექტორის, **ე. მირიანაშვილის** სახით,

მისამართი: ქ. თბილისი, აეროპორტი 0158, ტელ. 74-42-27.

საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. „რესპუბლიკა“ ბანკი კოდი 220101757; ა.ა 005467067 ს.კ. 208144051.

მიმწოდებელი -	შპს “ტობე” ს/კ 212 817 610
დირექტორი -	თენგიზ ჩირაძე
მისამართი, ტელეფონი -	ქ. ქუთაისი, ავტომშენებლის ქ. №4 ტელ: 577 78 06 70; 571 55 55 01
საბანკო რეკვიზიტები -	სს „თიბისი ბანკი“, ქუთაისის ფილიალი ბანკის კოდი: TBCBGE22, 220101888 ა/ა GE10TB0300000040467579

ერთის მხრივ - **შემსყიდველი**, და, მეორე მხრივ, - **მიმწოდებელი**, ადასტურებენ, რომ მათ შორის მიღწეულია შეთანხმება შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების ობიექტი

1.1. ხელშეკრულების ობიექტია კოპიტნარის აეროპორტში შპს “საქაერონავიგაციის” სატრანსფორმატორო ქვესადგურების TS-1, TS-2 და TS-3 საძირკვლებისა და ტექნიკური მოედნების მოწყობის სამუშაოების შესყიდვა თანდართული დანართის (ხარჯთაღრიცხვა) შესაბამისად (შემდგომში, სამუშაო).

1.2. დანართი ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია.

1.3. ხელშეკრულება იდება საქართველოს მთავრობის 2011 წლის 5 ივლისის №1390 განკარგულების საფუძველზე.

1.4. შესყიდვის ობიექტის კლასიფიკატორის კოდია **45262210**.

მუხლი 2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

2.1. შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე, რომლის მიზანია სამუშაოს შესრულების ვად(ებ)ის, მოცულობისა და ხარისხის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

2.2. ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე კონტროლს შემსყიდველის სახელით ახორციელებს განვითარებისა და პროექტების მართვის სამსახურის სპეციალისტი, ა. ფოჩხუა, რომელიც წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებს, რომ აღნიშნული შესყიდვის განხორციელებაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს ("სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის "გ" და "ე" ქვეპუნქტები).

მუხლი 3. სამუშაოს მიღება-ჩაბარების წესი

3.1. სამუშაოს შესრულების შემდეგ მხარეების უფლებამოსილი წარმომადგენლები აფორმებენ მიღება-ჩაბარების აქტსა და ფორმა №2-ს.

3.2. შემსყიდველის სახელით მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება ენიჭება ა. ფოჩხუას.

მუხლი 4. ხელშეკრულების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

4.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **43017.91** (ორმოცდასამი ათას ჩვიდმეტი ლარი და 91 თეთრი) ლარს.

4.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

4.3. გადახდის ფორმაა საქართველოს ეროვნულ ვალუტაში უნაღდო ანგარიშსწორება.

4.4. ანგარიშსწორება განხორციელდება სამუშაოს შესრულების შემდეგ მიღება-ჩაბარების აქტის, ფორმა №2-ს გაფორმებიდან და საგადასახადო ანგარიშფაქტურის შემსყიდველისთვის წარდგენიდან 10 დღის ვადაში.

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

5.1.1. შეასრულოს ხელშეკრულების დანართით განსაზღვრული სამუშაო ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 45 დღის ვადაში.

5.1.2. შეასრულოს სახელშეკრულებო ვალდებულებები პირადად და არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ გადასცეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თავისი ვალდებულებები მესამე პირებს.

5.1.3. შემსყიდველის მოთხოვნის საფუძველზე მიაწოდოს მას ინფორმაცია ხელშეკრულების პირობების შესრულების თაობაზე.

5.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

5.2.1. მოითხოვოს სამუშაოს ღირებულების დროული და სრული გადახდა.

5.2.2. მოითხოვოს ხელშეკრულების პირობების დაცვა.

5.2.3. მოითხოვოს ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულებით, შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

5.3. შემსყიდველი ვალდებულია:

5.3.1. გადაუხადოს მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოს შესაბამისი ღირებულება ხელშეკრულებით დადგენილი წესით.

5.3.2. გადასცეს მიმწოდებელს პროექტი, რომლის საფუძველზეც მიმწოდებელი შეასრულებს ამ ხელშეკრულებითა და მისი დანართით განსაზღვრულ სამუშაოს.

5.4. შემსყიდველი უფლებამოსილია:

5.4.1. განაცხადოს პრეტენზია შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებით, თუ იგი არ შეესაბამება ხელშეკრულებით დადგენილ მოთხოვნებს.

5.4.2. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა ხელშეკრულების შესრულებაზე.

5.4.3. მოითხოვოს ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულებით, შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

მუხლი 6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1. ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.1%-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის.

6.2. ხელშეკრულების ღირებულების გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო გადასახდელი ღირებულების 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებული დღისთვის.

6.3. მხარეებს ყოველთვის აქვთ უფლება მოითხოვონ ხელშეკრულების შეუსრულებლობით ან/და არაჯეროვანი შესრულებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 7. ფორს-მაჟორი

7.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს პასუხისმგებლობის დაკისრებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

7.2. ხელშეკრულებს მიზნებისთვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისთვის გადაულახავ და მათი კონტროლისგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მხარეების შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება იყოს გამოწვეული ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით და სხვა.

7.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისგან.

მუხლი 8. ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება მეორე მხარისათვის წინასწარი შეტყობინების შემდეგ:

8.1.1. თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია სამუშაოს შესრულება.

8.1.2. თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება.

8.1.3. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

8.1.4. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისგან.

8.1.5. ამ მუხლის 8.1. პუნქტის თანახმად, ხელშეკრულების შეწყვეტის ინიციატორი მხარე ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს ხელშეკრულების შეწყვეტის განზრახვის თაობაზე არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალების გამოყენებით.

მუხლი 9. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების განხორციელების წესი

9.1. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.

9.2. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებ(ებ)ის შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

9.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

მუხლი 10. დავების გადაწყვეტა

10.1. მხარეები ვალდებულნი არიან მოაგვარონ ყველა უთანხმოება მოლაპარაკების გზით, ხოლო ურთიერთშეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავას წყვეტს სასამართლო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერის საფუძველზე ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2012 წლის 30 ივნისამდე.

მუხლი 12. დასკვნითი დებულებები

12.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება ხელშეკრულების მხარეებთან.

მუხლი 13. მხარეთა ხელმოწერები

შემსყიდველის სახელით:	**მიმწოდებლის სახელით:**
ევგენია მირიანაშვილი აღმასრულებელი დირექტორი	თენგიზ ჩირაძე დირექტორი

კოპიტნარის აეროპორტში შპს "საქაერონავიგაციის" კუთვნილ ტერიტორიაზე სატრანსფორმატორო ქვესადგურების TS - 1 TS - 2 და TS - 3 საძირკვლების და ტექ. მოედნების მოწყობის ხარჯთაღრიცხვა (დანართი №1, ხელშეკრულება №2011/13/04/12)

№	სამუშოს დასახლება	განზომ.	რაოდენობა	მასალები		ხელფასი		ტრანსპორტი		სულ
				ერთ. ფასი	ჯამი	ერთ. ფასი	ჯამი	ერთ. ფასი	ჯამი	
	სატრანსფორმატირი ქვესადგურის TS-1 საფუძვლს მომზადება									
	I ტექნიკური მოედნის მომზადება-მოხრეშვა									
1	ჰუმუსის 30სმ ფენის მოჭრა ბულდოზერით (80ცხ.ძ.) და გადაადგილება 20 მეტრის მანძილზე	$მ^3$	18		0	2.25	40.5	4	72	112.5
2	ამოღებული გრუნტის დატვირთვა პნევმოსვლიანი ექსკავატორით $0.5მ^3$ ავტოთვითმცლელზე (10ტ) და გადაზიდვა 0.5კმ მანძილზე	ტ	35.1		0	2.5	87.75	2.2	77.2	165.0
3	ხრეშით მომზადება H=50სმ, 10 სმ ფენებად დატკეპნით თვითმავალი სატკეპნით	$მ^3$	30	20	600	2.5	75.0	9.47	284.1	959.1
4	მონოლითური რკინაბეტონის ფილის მომზადება	მ3	2.2	136	299.2	50	110.0	12	26.4	435.6
5	არმატურა F12 A-II	ტ	0.247	1356	334.9	240	59.3	15	3.7	397.9
	ჯამი									**1236.6**
	II საწვავის ავზის (5ტ) ქვაბულის მოწყობა და დაყენება									
1	ჰუმუსის 30სმ ფენის მოჭრა ბულდოზერით (80ცხ.ძ) და გადაადგილება 20 მეტრის მანძილზე 8ხ7ხ0.3 მ	$მ^3$	16.8		0	2.25	37.8	4	67.2	105.0
2	ამოღებული გრუნტის დატვირთვა პნევმოსელიანი ექსკავატორით $0.5მ^3$ ავტოთვითმცლელზე (10ტ) და გადაზიდვა 3კმ მანძილზე	ტ	32.76		0	2.5	81.9	2.2	72.1	154.0
3	III კატეგორიის გრუნტის დამუშავება ექსკავატორით (0.5м3) დატვირთვა ავტოთვითმცლელებზე (10ტ) და გადაზიდვა 3კმ მანძილზე (7.1ხ6.2+4.3ხ3.4):2ხ2.8м	$მ^3$	82.1		0	2.25	184.7	4	328.4	513.1
4	III კატეგორიის გრუნტის დამუშავება ექსკავატორით (0.5м3) დატვირთვა ავტოთვითმცლელებზე (10ტ) და გადაზიდვა 0.5კმ მანძილზე (7.1ხ6.2+4.3ხ3.4):2ხ2.8м	ტ	160.095		0	2.5	400.2375	2.2	352.2	752.4
5	ხრეშით მომზადება =15სმ	მ3	2.2	20	44	2.5	5.5	7.7	16.9	66.4
6	ბალიშის მომზადება მჭლე ბეტონისაგან -10	მ3	0.8	100	80	30	24.0	12	9.6	113.6
7	რკ/ბეტონის საყრდენის მოწყობა 3.3.ხ2.4ხ0.1м	მ3	4	136	544	50	200.0	12	48.0	792.0
8	არმატურა F12 A-III	ტ	0.246	1356	333.6	240	59.0	15	3.7	396.3

9	ქვაბულის შევსება ქვიშანარევი ხრეშით	მ3	89	11	979	2.1	186.9	7.7	685.3	1851.2
10	გარეცხილი ხრეშის ნაყარი =20სმ	მ3	12	20	240	2.5	30.0	9.47	113.6	383.6
	ჯამი									**5127.7**
	სულ ჯამი I + II									**6364.3**
	სატრანსფორმატირი ქვესადგურის TS-2 საფუძვლს მომზადება									
	I ტექნიკური მოედნის მომზადება-მოხრეშვა									
1	ჰუმუსის 30სმ ფენის მოჭრა ბულდოზერით (80ცხ.ძ.) და გადაადგილება 20 მეტრის მანძილზე	$მ^3$	110.52		0	2.25	248.7	4	442.08	690.8
2	ამოღებული გრუნტის დატვირთვა პნევმოსვლიანი ექსკავატორით $0.5მ^3$ ავტოთვითმცლელზე (10ტ) და გადაზიდვა 3კმ მანძილზე	$მ^3$	215.514		0	2.5	538.785	5.2	1120.7	1659.5
3	ხრეშით მომზადება H=50სმ, 10 სმ ფენებად დატკეპნით თვითმავალი სატკეპნით	$მ^3$	171.5	20	3430	1.74	298.4	9.47	1624.1	5352.5
	ჯამი									**7702.7**
	II ქვესადგურის შენობის ქვაბულის მომზადება									
1	გრუნტის მოჭრა ქვქბულში	$მ^3$	86.7		0	2.25	195.1	4	346.8	541.9
2	ამოღებული გრუნტის დატვირთვა პნევმოსვლიანი ექსკავატორით $0.5მ^3$ ავტოთვითმცლელზე (10ტ) და გადაზიდვა 3კმ მანძილზე	ტ	169.065		0	2.5	422.6625	5.2	879.1	1301.8
3	ქვიშა ღორღი 20სმ	$მ^3$	44.44	11	488.84	2.3	102.2		0.0	591.1
4	ხრეშით მომზადება H=20სმ	$მ^3$	16.5	20	330	2.5	41.3	7.7	127.1	498.3
5	საკაბელო ტრანშეის მოწყობა ხელთ გუნტის დატვირთვით და გატანით ტერიტორიიდან	მ3	5.2		0	40	208.0	0	0.0	208.0
6	ლითონის მილების ჩადება 6 რიგად	მ	204	12.6	2570.4	3.25	663.0			3233.4
7	ხრეშით შევსება H=30სმ	$მ^3$	18.49	11	203.39	2.1	38.8	7.7	142.4	384.6
8	ფოლადის მილების გაყვანა შენობის შიგნთ	მ	12	12.6	151.2	3.25	39.0			190.2
9	სხვა მასალები	ლ	1	200	200					200.0
	Шდიზელ-გენერატორის საძირკვლის მოწყობა									
1	მონოლითური რ/ბეტონის ფილის მოწყობა ბეტონი B-25 კლასის	$მ^3$	0.7	136	95.2	50	35.0	12	8.4	138.6
2	არმატურა F12 A-III	ტ	0.0656	1356	89.0	240	15.7	15	1.0	105.7
3	არმატურა F6 A-I	ტ	0.0023	1356	3.1188	240	0.6	15	0.0	3.7
	ჯამი									**7397.2**
	სულ ჯამი I + II									**15099.9**
	სატრანსფორმატირი ქვესადგურის TS-3 საფუძვლს მომზადება									
	I ტექნიკური მოედნის მომზადება-მოხრეშვა									
1	ჰუმუსის 30სმ ფენის მოჭრა ბულდოზერით (80ცხ.ძ.) და გადაადგილება 20 მეტრის მანძილზე	$მ^3$	67.5		0	2.25	151.9	4	270	421.9

2	ამოღებული გრუნტის დატვირთვა პნევმოსვლიანი ექსკავატორით 0.5მ³ ავტოთვითმცლელზე (10ტ) და გადაზიდვა 3კმ მანძილზე	ტ	131.625		0	2.5	329.0625	5.2	684.5	1013.5
3	ხრეშით მომზადება H=50სმ, 10 სმ ფენებად დატკეპნით თვითმავალი სატკეპნით	მ³	108.7	20	2174	1.74	189.1	9.47	1029.4	3392.5
	ჯამი									**4827.9**
	II ქვესადგურის შენობის ქვაბულის მომზადება									
1	გრუნტის მოჭრა ქექბულში	მ³	19.6		0	2.25	44.1	4	78.4	122.5
2	ამოღებული გრუნტის დატვირთვა პნევმოსვლიანი ექსკავატორით 0.5მ³ ავტოთვითმცლელზე (10ტ) და გადაზიდვა 3კმ მანძილზე	ტ	38.22		0	2.5	95.55	5.2	198.7	294.3
3	ქვიშა ღორღი H=20სმ	მ³	5.14	11	56.54	2.3	11.8		0.0	68.4
4	ხრეშით მომზადება H=20სმ	მ³	5.6	20	112	2.5	14.0	7.7	43.1	169.1
5	საკაბელო ტრანშეის მოწყობა ხელთ გუნტის დატვირთვით და გატანით ტერიტორიიდან	მ3	3.6		0	40	144.0	0	0.0	144.0
6	ლითონის მილების ჩადება 6 რიგად	მ	108	12.6	1360.8	3.25	351.0			1711.8
7	ქვიშა ღორღი შევსება H=30სმ	მ³	7.23	11	79.53	2.1	15.2	7.7	55.7	150.4
8	ფოლადის მილების გაყვანა შენობის შიგნთ	მ	12	12.6	151.2	3.25	39.0			190.2
	სხვა მასალები	ლ	1	200	200					200.0
	IIIდიზელ-გენერატორის საძირკვლის მოწყობა									
1	მონოლითური რ/ბეტონის ფილის მოწყობა ბეტონი B-25 კლასის	მ³	0.7	136	95.2	50	35.0	12	8.4	138.6
2	არმატურა F12 A-II	ტ	0.0656	1356	89.0	240	15.7	15	1.0	105.7
3	არმატურა F6 A-I	ტ	0.0023	1356	3.1188	240	0.6	15	0.0	3.7
	ჯამი									**3298.6**
	სულ ჯამი I + II + III									**8126.6**
	სულ ჯამი									**29590.8**
	ზედნადები ხარჯები	**12%**								**3550.89**
	ჯამი									**33141.7**
	გეგმიური დაგროვება	**10%**								**3314.17**
	ჯამი									**36455.85**
	დღგ	**18%**								**6562.05**
	ჯამი									**43017.91**

შპს "ტობე"
დირექტორი
თენგიზ ჩირაძე

შპს "საქაერონავიგაცია"
აღმასრულებელი დირექტორი
ეეგენი მორიანა შეიდ